საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილარიონ ქართველი

ილარიონ ქართველი (822–875), სასულიერო მოღვაწე. დაიბადა კახეთში, დიდგვაროვან ოჯახში. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარებაში.

ი. ქ-ის ქტიტორული მოღვაწეობა დაკავშირებულია კახეთის 3 ძეგლთან. ესენია: ფერისცვალების ეკლესია დავითგარეჯის ლავრაში, ე. წ. ი. ქ-ის ფილიალი იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერი.

ი. ქ-მა ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. მოიარა პალესტინა (იერუსალიმი, თაბორი, გოლგოთა, ბეთლემი, იორდანიის უდაბნო, საბაწმიდის ლავრა), ბითინია (ოლიმპი), რომი, ბიზანტია (კონსტანტინოპოლი, თესალონიკე), სადაც ეცნობოდა ქრისტ. სამყაროს კულტ. უდიდეს კერებს, ლიტ. მიღწევებს, სამონასტრო ცხოვრების წესსა და რიგს. ი. ქ-ის სახელზე თხზულებების მთელი ციკლია შექმნილი – ცხოვრებები და საგალობლები, სადაც ი. ქ. წარმოგვიდგება როგორც მონასტერთა მაშენებელი, წინამძღვარი, კახეთში დედათა და მამათა მონასტრების წესისა და კანონის დამდები.

ი. ქ. სახელგანთქმული მკურნალი იყო. მას „უვერცხლო მკურნალს" უწოდებდნენ, რადგან ყველას უანგაროდ მკურნალობდა. დაკრძალულია კონსტანტინოპოლის მახლობლად ჰრომანის (რომანის) ქართველთა მონასტერში. ღირსი ი. ქ. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 19 ნოემბ. (2 დეკ.).

თსსუ-ში დამკვიდრდა ი. ქ-ის სახელობის პრემია საუკეთესო სახელმძღვანელოსა და მეცნ. მონოგრაფიისთვის. *ლიტ.* იხ. სტ-თან „ილარიონ ქართველის ცხოვრება".